

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“  
ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლამდე, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების 12 დღიანი საკურორტო მომსახურება 500 ლრის ფარგლებში.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია საკურორტო მომსახურება. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ზემოაღნიშნულს უნდა დაერთოს სასტუმროს ან სანატორიუმის ეზოს, ოთახების, სასადილო ოთახის, აბაზანის ფოტოები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება. ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2021 წლის 20 ივნისიდან 2021 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან შშმ პირები და დაინვალიდებული (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, შშმ სტატუსის პირები (30 წლამდე), მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი (100001- მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახები.

5. უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) წერილობითი განაცხადი შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;
- ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტოსურათების, ნახაზების და ა. შ. თანდართვით;

დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ობიექტის ფუნქციონირების უფლების შესახებ, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული COVID 19 დაკავშირებული რეგულაციები, რაც ასევე უნდა იყოს დასურათებული განაცხადთან ერთად.

შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო საჭიროების შემთხვევაში.

შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.